

მეივა პატარა გოგოა, რომელიც ძალიან ავად გახდა, როდესაც შხამიანი ქვა გაჩნდა მის მუცელი. მისმა დედიკომ და მამიკომ მეივა სპეციალურ ექიმთან წაიყვანეს, რომელმაც საიდუმლო გვირაბის დახმარებით მის მუცელში კეთილი ჯარისკაცები შეაპარეს, რათა ბოროტი ქვა გაენადგურებინათ.

მეივა ძალიან მამაცი გოგოა. ის ემზადება ომისთვის შხამიან ქვასთან და ბოროტ ჯარისკაცებთან. ის ყველა ბრძოლაში იჩენს დიდ სიმამაცეს.

დიდება მამაც მეივას!

„ეს არის საოცარი წიგნი, როგორც სიტყვიერად ასევე, ილუსტრაციებითაც. ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს „მამაცი მეივა“ ბავშვებს და მათ ოჯახებს, და გაამხნევებს ყველა პატარას, რომლებიც ანალოგიურ ბრძოლაში არიან ჩაბმული.“

დოქტორი ქუან თუა ჩონგ (ჰემატო-ონკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, ბავშვთა სამედიცინო ინსტიტუტის უნივერსიტეტის, ნაციონალური უნივერსიტეტის ჰოსპიტალი).

მამაცი მეივა

ჯოენ პუნი & ლეიუ ჰოი იენის

მამაცი მეივა

ავტორი: ჯოენ პუნი

ილუსტრირებულია ლეიუ ჰოი იენის მიერ

მამაცი მეივა

ავტორი: ჯოენ პუნი
ილუსტრირებულია ლეიუ ჰოი იენის მიერ

მთარგმნელი: **მარიამ მითაიშვილი**

თბილისი

„ბავშვთა სიმსივნეები და სუპერგმირები“ მართა თალაკვაძის სახელით

ღია
საზოგადოების
ფონდი

გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Originally published in 2013 as Brave Maeve by Landmark Books Pte Ltd, Singapore
(ISBN 978-981-4189-43-9)

Text copyright © 2013 Joanne Poon
Illustration copyright © 2013 Liew Hooi Yin
Translation copyright © 2021 Mariami Mitaishvili

© Landmark Books, 2021
© Mariami Mitaishvili, 2021

ISBN 978-9941-8-3447-9

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა სახელად მეივა.

მას ჰქონდა ქვა.

ეს არ იყო ჩვეულებრივი ქვა.
ეს იყო შხამიანი ქვა.

მეივამ ამის შესახებ არ იცოდა,
იმიტომ, რომ ქვა მის მუცელში ჩუმად იმალებოდა.

ქვა ძალიან მშვიდად იწვა...

ის იწვა, როდესაც მეივას ეძინა.
ის იწვა, როდესაც გოგონა თამაშობდა.
ის არ იღებდა ხმას, როდესაც მეივა საჭმელს მიირთმევდა.



ერთ დღეს, ქვამ გაზრდა დაიწყო.

ის იზრდებოდა და იზრდებოდა.

და როდესაც, ის უზარმაზარი გახდა,
მან მუცელი ატკინა მეივას.
გოგონას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაცამ მუცელში საშინლად
მოუჭირა და გაიელვა, თანაც ხან ზემოთ მოძრაობდა, ხან ქვემოთ.

დედამ და მამამ მეივა საყვარელ ექიმთან წაიყვანეს, რომელმაც მას ტკივილის გასაქრობად ბევრი წამალი გამოუწერა.

მართლაც, მეივას ტკივილმა გაუარა და მან დაიწყო თამაში,
და დაიძინა გემრიელად,
და ჭამდა, ძალიან ბედნიერი...

თუმცა, ცოტახნით.

რადგან ქვა ისევ მეივას მუცელში იყო.
ის ისევ იმალებოდა.

ექიმმაც კი არ იცოდა ამის შესახებ.

შემდეგ ქვამ ისევ გაზრდა დაიწყო.
და პატარა მეივას აღარ სურდა ძილი,
არც თამაში,
და აღარც ჭამა.

ამიტომ, დედამ და მამამ მეივა სპეციალურ ექიმებთან წაიყვანეს. ექიმებმა გაუსინჯეს მუცელი, გადაუღეს რენტგენი მუცელზე, და ათასნაირი კითხვა დაუსვეს, რომლებსაც მეივამ, რა თქმა უნდა, ძალიან ჭკვიანურად უპასუხა.

მაინც, მიუხედავად ამისა, ქვა იმალებოდა...

Chest X-Ray

მაგრამ დიდიხნით არა.

ექიმებმა ის ოპერაციის დროს იპოვნეს
და ამოიყვანეს მუცლიდან.

„ა-ჰა!“ – წამოიძახეს ექიმებმა – „მაინც გიპოვეთ!“
„ფანტასტიკურია“ – წამოიყვირა დედამ და მამამ.
“რა მაგარია“ – იყვირა მეივამ.
ქვა გადააგდეს და სიხარულისგან ყველამ ტაში დაუკრა.
მაგრამ ეს არ არის ისტორიის დასასრული.



მაგრამ ისტორია ამით არ სრულდება

„ჩვენ ვაპირებთ რომ კეთილი ჯარისკაცები ჩავსვათ შენში, რათა ბოროტ ჯარისკაცებს ებრძოლონ, რომლებიც ქვამ დაგიტოვა მუცელში“ – უთხრა ექიმმა მეივას.

“კარგი“ – თქვა მეივამ, „მაგრამ აუცილებლად დარწმუნდით, რომ ყველაზე ძლიერ და ვეებერთელა კეთილ ჯარისკაცებს აარჩევთ ჩემთვის!“

„რა თქმა უნდა,“ – უპასუხა ექიმმა. „მძლეთამძლე ჯარისკაცები, რათა ჩვენი ძვირფასი მეივა დაიცვან!“

მეივა დადიოდა და დადიოდა საავადმყოფოში, რათა კეთილი ჯარისკაცები შემოეშვა თავის მუცელში.

ექთნები ამ ყველაფერს ჩახლართულ, უცნაურ სახელს ეძახდნენ, თუმცა მეივამ „ომისთვის მზადება“ დაარქვა.

კეთილი ჯარისკაცები მეივას სხეულში საიდუმლოდ, სპეციალური გვირაბის გავლით ხვდებოდნენ.

კეთილი ჯარისკაცები იმდენად მძვინვარედ ებრძოდნენ მტერს, რომ ამ ბრძოლის გამო მეივას ხანდახან სიცხე ჰქონდა.

ხანდახან ბრძოლების გამო მეივას საჭმელებსაც სასაცილოდ ეცვლებოდა გემო – შოკოლადს ყველის, ხოლო ყველს მარწყვის გემო ჰქონდა ხოლმე.

შეტაკებების გამო მეივას თმაც გასცვივდა, თუმცა სამაგიეროდ მას ნაირნაირი საინტერესო შლაპების და ფერადი ქუდების ტარება უწევდა.

ძირითადად ყოველთვის კეთილი ჯარისკაცები ანადგურებდნენ ბოროტ ჯარისკაცებს, რომლებიც ქვამ დაუტოვა მეივას მუცელში.

ასეთ დროს მეივა მათ ტუალეტში კუკუებთან ერთად უშვებდა. “თავიდან დამეხსენით“ – წამოიძახა მეივამ და ჯარისკაცები უნიტაზში წყალს გააყოლა.



როგორც იქნა ექიმებმა გამოაცხადეს, „ჰეი ჰეი ვაშაა! მეივას მუცელში აღარ არიან ბოროტი ჯარისკაცები!“

„იუჰუუ!“ – გაუხარდათ დედას და მამას

„ჩემი მხსნელი!“ – წამოიყვირა მეივამ!

ძალიან მალე მეივას თმა გაეზარდა.
შოკოლადს ისევ შოკოლადის გემო ჰქონდა,
და ყოველ ღამე ტკბილად ეძინა.

მეივამ და მისმა კეთილმა მეომრებმა ომი მოიგეს!

დიდება გამარჯვებულ მეივას!
დღეგრძელობა მამაც მეივას!

მშობლებისთვის

ეს პატარა ისტორია დაიწერა მაშინ, როდესაც ვცდილობდი მეპოვნა მარტივი გზა, თუ როგორ ამეხსნა მეივასთვის, ჩემი სამი წლის შვილისთვის, რომელსაც 2010 წელს ბურკიტის ლიმფომის მეორე სტადია დაუდგინდა, თუ რა მოხდებოდა ქიმიოთერაპიების კურსის გავლის დროს.

მეგობრებმა ნაირნაირი საბავშვო წიგნები გამომიგზავნეს სიმსივნის შესახებ, მაგრამ ჩემთვის ისინი ან ზედმეტად პირდაპირი და სერიოზული იყო, ან მხოლოდ ამ საკითხის გარშემო მშრალად წერდნენ. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე დამეწერა „მამაცი მეივა“, ისტორია გოგონას შესახებ, რომელიც თავის „მამაც ჯარისკაცებთან“ ერთად იბრძვის „შხამიანი ქვების“ წინააღმდეგ. ბრძოლის პერიოდში ბევრი უცნაური რაიმე ხდება, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ კეთილი მეომრები იმარჯვებენ!

3 წლის ბავშვს წარმოდგენა არ აქვს რა არის ქიმიოთერაპია, მაგრამ მისთვის მარტივი გასაგები იყო, რომ ტუალეტში უნდა ჩაერეცხა ცუდი ჯარისკაცები. მისთვის ძალიან მტკივნეული იყო თმის გაცვენა, თუმცა მარტივად გადაჰქონდა ყურადღება შლაპებით და ქუდებით თამაშზე.

კლინიკაში ყოველთვის მივდიოდით გვირგვინით და ჯადოსნური ჯოხით, ასევე სხვადასხვა სათავგადასავლო ატრიბუტიკით შეიარაღებული. მთელმა ოჯახმა გადავიპარსეთ თავი (ჩემი 4 თვის შვილი ისედაც მელოტი იყო), მისი გრძელი მშვენიერი თმის გაცვენის მოლოდინში. მას კი ვუთხარით, რომ ასე უფრო მეტად ვიქნებოდით მზად ომისთვის – მძვინვარე და სასტიკი შესახედავები!

და როგორი იყო ეს ბრძოლა – ყოველდღიური ცრემლები, პირღებინება და ჩხვლეტა. ყოველდღე, განგმირული მქონდა გული მისი სიტყვებით: „დედიკო, ისინი მტკენენ, უთხარი მათ რომ გაჩერდნენ. დამპირდი კარგი, სახლში მინდა წასვლა.“

ჩემმა მეუღლემ, ბერნარდმა და მე ვისწავლეთ, რომ არ უნდა დავეთრგუნეთ ამ ყველაფერს. ჩვენ გამუდმებით ზურგს უკან ვალაგებდით ჩვენს დაფერფლილ ემოციებს და ვცდილობდით, მომენტისთვის საჭირო ნაბიჯზე მოგვეხდინა კონცენტრირება.

ჩვენ იღბლიანი აღმოვჩნდით მიღებული მხარდაჭერის გამო. მეივას ზღვა ვიზიტორები ჰყავდა, რომლებსაც მოჰქონდათ სათამაშოები, გასაფერადებელი წიგნები, ჯადოსნური ჯოხები, და ყველა ის ნივთი, რომელიც შეიძლება პრინცესას დასჭირვებოდა. მეგობრები, რომლებთანაც აღარ მქონდა ურთიერთობა, მეივასთან საჩუქრებით გამოჩნდნენ.

ბებია და ბაბუა სპეციალურად მეივასთვის მომზადებული სადილით მოდიოდნენ ხოლმე ყოველდღე, და ასევე, მეგობრებსაც რიგრიგობით მოჰქონდათ საჭმელი ჩვენთვის.

ერთხელ, ჩვენი ბიძა, რომელიც ძალიან ძალიან შორს ცხოვრობს, წავიდა სახლში, გრილზე შეწვა მეივას საყვარელი ქათმის ფრთები. საღამოს პიკის საათის დროს წამოვიდა კლინიკისკენ, მოუტანა მეივას საჭმელი, რათა გაემხნევებინა ანალიზისთვის საჭირო თითზე მწარე ჩხვლეტის წინ.

ჩემი მეგობრები საზღვრგარეთიდან სკაიპით გვირეკავდნენ, რათა მხარი დაეჭირათ მეივასთვის. ჩემმა ყოფილმა სტუდენტებმა ვიზიტების რიგითობა დააწესეს, რათა მეივა გაემხნევებინათ და ხასიათზე მოეყვანათ.

ჩემმა საუკეთესო მეგობრებმა პატარ-პატარა საჩუქრები შეფუთეს, რათა ყველა მტკივნეული პროცედურის შემდეგ მეივას ჯილდო მიეღო. მეგობრებმა ეკლესიიდან გააკეთეს პრინცესულად გაფორმებული სქემები, რათა დაერწმუნებინათ მეივა, გამოევლო პირის ღრუს წამალი კვების შემდეგ და ბევრი წყალი დაელია.

შესაბამისად, მეივაზე ზრუნვა გახდა კოლექტიური ძალისხმევა. ეს წრე, რომელიც მეგობრებისა და ნათესავებისგან შეიკრა მივლიდა მეც, რათა მე შემძლებოდა მეივას მოვლა.

არ ვიცი ეს ყველაფერი როგორ შეძლო ბერნარდმა, როცა მძიმე ღამეებს ათენებდა ჩემთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს სამსახურში უნდა წასულიყო. ქიმიოთერაპიების უკუჩვენებების გამო მეივას გამუდმებით ჰქონდა დიარეა და უამრავი სითხის მიღება უწევდა, შესაბამისად, ყოველ 1 ½ -სთ-ში შარდავდა. ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ მეივასთან ერთად ქოთანზე ვატარებდით მთელ ღამეს.

ერთი ძვლის ტვინის ბიოფსიის, სამი ოპერაციის, ოთხნახევარი ქიმიოთერაპიის კურსის, ცხრა ზურგის ტვინის პუნქციის, და ძალიან ბევრი სისხლის გადასხმის და უამრავი სისხლის ანალიზისთვის საჭირო ჩხვლეტის შემდეგ, ჩვენი პატარა გოგო განიკურნა!

ჩვენ არ ვიცით სიმსივნე ოდესმე ისევ შემოგვიტევს თუ არა, ან გვექნება თუ არა მომავალში ქიმიოთერაპიების კურსების უკუჩვენებებიდან გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები, მაგრამ სამაგიეროდ ვიცით, რომ ამ მომენტში ჩვენი პატარა გოგონა ცოცხალია, და ბედნიერია, და ისეთივე ძვირფასია როგორც ნებისმიერი 6 წლის ბავშვი. ყველაფერ ამისთვის, ჩვენ უფლის მადლიერები ვართ.

თავიდან ეს ისტორია გათვლილი იყო ერთი კონკრეტული აუდიტორიისთვის. მაგრამ შემდეგ ეს ამბავი, ბავშვთა სიმსივნეების შესახებ, 2011 წელს წავუკითხე და გავუზიარე კოლეჯის უმცროს 200 სტუდენტს. სწორედ მათ წამახალისეს, რომ წიგნად გამომექვეყნებინა. დამარწმუნეს, რომ ეს ისტორია დაეხმარებოდა ყველა სიმსივნით დაავადებულ ბავშვს და – მათ მშობლებს.

ლოცვის პასუხად, ჰუუ ინი გამომეცხადა და მკითხა, თუ შეიძლებოდა რომ ჩემი წიგნის ილუსტრაცია გაეკეთებინა. რადგან ის პროფესიით ექიმია, მას შეეძლო წიგნში სხვადასხვა სამედიცინო პროცედურების ილუსტრირება განსაკუთრებული სიზუსტით, და მან ზუსტად ისეთი კეთილი და ბოროტი ჯარისკაცები შექმნა, როგორიც წარმომედგინა.

ჩემი ოცნებაა ეს წიგნი გახდეს ხელმისაწვდომი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველა პედიატრიული ონკოლოგიის განყოფილებებში.